ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,
მაჟორიტარი მარეხ ნიჟარაძის, საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის ამომრჩევლებთან
საანგარიშო შეხვედრის

ო ქ მ ი N2

27 ნოემბერი, 2020 წელი, 14:00 საათი

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქი ქუთაისი, ხარაზოვის ბაღი

საანგარიშო შეხვედრას ესწრებოდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ამომრჩევლები, 25 მოქალაქე. საანგარიშო შეხვედრა გამართა ქალაქ ქუთაისის საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა, ქალბატონმა **მარეხ ნიჟარაძემ.** საანგარიშო შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ვლასი გარდაფხაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-სამდივნო განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თეონა მამრიკიშვილი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარმა წევრმა, ქალბატონმა, მარეხ ნიჟარაძემ და წარმოადგინა საანგარიშო შეხვედრის შემდეგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი, საკრებულოს წევრის, მარეხ ნიჟარაძის 2020 წლის (იანვარი-ნოემბერი) ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი-
,,საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი, საკრებულოს წევრის, მარეხ ნიჟარაძის 2020 წლის (იანვარი-ნოემბერი) ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ზემოაღნიშნულ საკითხზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშით გამოვიდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის, საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი საკრებულოს წევრი ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე.** მან აღნიშნა: მოგახსენებთ, რომ მე, როგორც ქალაქ ქუთაისის საკრებულოს წევრს, საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი, აქტიურად ვარ ჩართული საკრებულოსა და საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის სამუშაო პროცესში. მაქვს ყოველდღიური შეხვედრები მოსახლეობასთან და მოქალაქეებთან, რომლებთაც ვხვდები, როგორც საკრებულოს შენობაში, ასევე საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში, ხშირად გავდივარ უბნებზე, რათა უკეთ გავიგო მოსახლეობის პრობლემები, თუ ვის რა უჭირს. მოგეხსენებათ მსოფლიოში და მათ შორის ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური ფონიდან გამომდინარე, რაც 2020 წელს გავრცელებულმა ვირუსმა ,,COVID-19" გამოიწვია, მე საკრებულოს წევრი და საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი მნიშვნელოვნად მომზადებული შევხვდი ამ გამოწვევას. აღნიშნულმა ვირუსმა

მძიმე გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკაზე, მრავალი ჩემს სამაჟორიტაროში მცხოვრები და რეგისტრირებული მოქალაქე დარჩა სამსახურის გარეშე, შეჩერდა სამუშაო პროცესები. სახელმწიფომ ამ კრიზისთან დაკავშირებით შეიმუშავა ანტიკრიზისული გეგმა, რის განხორციელებაში თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკრებულო მთლიანად ჩავერთეთ. აღნიშნულ ანტიკრიზისულ გეგმას და შეღავათებს, რაც სახელმწიფომ მოსახლეობას გაუწია ვაცნობდი ჩემს სამაჟორიტაროში მცხოვრებ მოსახლეობას. თუ ვინმეს შეექმნა ეკონომიური პრობლემა, რაც სამსახურის დაკარგვამ გამოიწვია, მათ ვაცნობდი ანტიკრიზისულ გეგმას, რათა ის დახმარება, რაც სახელმწიფომ მათ გამოუყო, აეთვისებინათ.

2020 წლის იანვრიდან დღემდე ჩემს სახელზე 75 განცხადება და წერილობითი მომართვაა შემოსული. თითოეულ მათგანზე მყისიერად მომზადდა შესაბამისი შუამდგომლობა და წარმოება შესრულდა ვადა გადაცილების გარეშე. სააღდგომო-საახალწლო სურსათით დახმარება გაეწია 240 ოჯახს, დახმარება გაეწიათ პანდემიის დროს 70 წელს გადაცილებულ 60 მარტოხელა მოხუცს, 45 მრავალშვილიან დედას; ასევე მარტოხელა დედებს; სოციალურად დაუცველ 113 ოჯახს; მადლიერების სახლის 40 ბენეფიციარს; 1 ჯგუფის მქონე 54 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს; 45 ბავშვიან ოჯახებს (დახმარება გაეწიათ 3-4-ჯერ).

მინდა ინფორმაცია მოგაწოდოთ, მოსახლეობასთან ჩემს მიერ გამართული შეხვედრების თაობაზე. ყოველ სამშაბათს, საფიჩხიის ადმინისტრაციულ ერთეულში მაქვს ამომრჩევლების მიღება 12:00 სთ-დან 14:00 სთ-მდე. 2020 წლის განვლილ პერიოდში, სანამ მოხდებოდა ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციით, დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა, ადმინისტრაციულ ერთეულში მივიღე დაახლოებით 200 მოქალაქე. მაგრამ ამ ფაქტს არ გამოუწვევია ჩემი მათთან დაშორება, ყველა მოქალაქესთან მქონდა 24 საათიანი კომუნიკაცია, როგორც სატელეფონო საშუალებით, ისე სოციალური ქსელის მეშვეობით. ისინი მოგვმართავენ სხვადასხვა სახის პრობლემების გადაჭრის მიზნით, როგორიცაა: სასმელი წყლის მიწოდებაში არსებული ხარვეზები, ელექტროკაბელის, ან გარე განათების დაზიანებული ბოძების აღდგენა, კანალიზაციის სისტემის მოწესრიგება, მატერიალური დახმარება და სხვა საკითხები. ჩემს მიერ ხდება მათი პრობლემების შესწავლა და უშუალო ჩართვა მათ გადაჭრაში.

2020 წლის განმავლობაში საფიჩხიის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტები, რაც შეეხო გზებს, საყრდენ კედლებს, სანიაღვრეებს და სხვა. მოხდა საყრდენი კედლის რეაბილიტაცია სოლომონ მე-2 ქუჩის N67-ში და მწვანე ყვავილას ქუჩის N73-ში. ასევე მოეწყო მწვანე ყვავილას ქუჩის N33-თან სანიაღვრე სისტემა. სოლომონ პირველის ქუჩის N64-ში განხორციელდა სადარბაზოს რეაბილიტაცია.

2020 წელს საფიჩხიაზე გადაიხურა სოციალურად დაუცველი ოჯახების სახლები, კერძოდ: სოლომონ მეორეს ქუჩა N34-ში; მწვანე ყვავილას ქუჩის N35-ში; მწვანე ყვავილას ქუჩის N128-(202)-ში; რიონჰესის ქუჩა N11-ში.

2020 წელს, საფიჩხიაზე დამთავრდა, გზის საფარის დაგება და მოწყობა, დ. კლდიაშვილის ქუჩის I ჩიხში გზის საფარის სრული რეაბილიტაცია; კიბულის ქუჩის მე-3 შესახვევის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; 26 მაისის ქუჩის I ჩიხის გზის სრული რეაბილიტაცია, სოლომონ მე-2 ქუჩის IV ჩიხში გზის საფარის სრული რეაბილიტაცია.

ასევე საფიჩხიის ადმინისტრაციულ ერთეულში, გაიწმინდა ,,ენერგო-პრო ჯორჯოიას" დაქვემდებარებაში მყოფი წყალამრიდი არხი სათავიდან, მდინარე წყალწითელამდე. გაკეთდა ახალი გარე განათების ბოძები კოსტავას ქუჩის N81-თან; თბილისის ქუჩის N61-63-65-თან; სოლომონ მე-2 ქუჩის მე-4 ჩიხი(3 ბოძი); გელათის ქუჩის 1 ჩიხში; ტყიბულის ქუჩის N137-139-თან; ტყიბულის ქუჩის N23. დაიდგა ახალი ბუნკერი პანსიონატთან.

2020 წელს საფიჩხიის ადმინისტრაციულ ერთეულში, მოსახლეობის მოთხოვნასთან დაკავშირებით დაიდგა ძელ-სკამები შემდეგ მისამართებზე: დ. კლდიაშვილის ქუჩის N2-თან; დ.კლდიაშვილის ქუჩის მე-2 შესახვევში N11-თან; დ.კლდიაშვილის ქუჩის მე-4 შესახვევში; დ.კლდიაშვილის ქუჩის მე-6 შესახვევში N4-თან; დ.კლდიაშვილის ქუჩის 1 ჩიხში N8-თან; დ.კლდიაშვილის ქუჩის N104-თან; დ. ნიჟარაძის ქუჩის N31-თან; დ.ნიჟარაძის ქუჩის N 32 და N50-თან; ტყიბულის ქუჩის I ჩიხში N8-თან; ტყიბულის ქუჩის N5-თან; ტყიბულის ქუჩის N152-თან; ტყიბულის ქუჩის N161-თან; ტყაბლაძის ქუჩის N35-თან; თომაშვილის ქუჩის N10-თან; განათლების ქუჩის N18-თან; წმინდა სამების ქუჩის N12-თან; წმინდა სამების ქუჩის N22-თან; წმინდა სამების ქუჩის მე-4 შესახვევში N6-თან; სოლომონ მე-2 ქუჩის N26ა-თან; სოლომონ მე-2 ქუჩის N50-თან; სოლომონ მე-2 ქუჩის მე-2 ჩიხში N9-თან; სოლომონ მე-2 ქუჩის მე-4 ჩიხში N6 და 12-თან; სოლომონ I ქუჩის N102-თან; გოგებაშვილის ქუჩის N18ა-თან; რიონჰესის ქუჩის N1-თან; ბათუმის ქუჩის N12-თან; დ. თავდადებულის ქუჩის 1 შესახვევში; 26 მაისის ქუჩის N72-თან; 26 მაისი ქუჩის N72-თან; 26 მაისი ქუჩის N1-თან; გელათის ქუჩის მე-6 შესახვევში N8-თან; გელათის ქუჩის N76-თან; მწვანე ყვავილას ქუჩის N35-თან; დ.ყიფიანის ქუჩის N10-თან; შ. არაგვისპირელის ქუჩის N14 და N23-თან; თბილისის ქუჩის მე-8 ჩიხში N3-თან; კოსტავას ქუჩის მე-3 ჩიხში.

მიმდინარე წელს საფიჩხიის ადმინისტრაციულ ერთეულში მოხდა მასშტაბური პროექტის განხორციელება, რაც წლების მანძილზე პრობლემას უქმნიდა იქ მცხოვრებ მოსახლეობას. ეს იყო ხარაზოვის ბაღში არსებული ძველი ფანტანი, რომელიც სავალალო მდგომარეობაში გამოიყურებოდა, მოხდა ამ შადრევნის სრული რეაბილიტაცია და მოეწყო ე.წ. სველი შადრევნით, ასევე ხარაზოვის ბაღში დამონტაჟდა 12 ახალი ძელ-სკამი და დაიდგა ახალი სპორტული ტრენაჟორი, დაირგო ახალი მწვანე ნარგავები. სკვერის სტატუსი მიენიჭა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს თომაშვილის ქუჩის N1-ში და სოლომონ მე-2 ქუჩის N 39-41 მონაკვეთს.

ქალაქში დაგეგმილ თითქმის ყველა ღონისძიებაში ვღებულობდი მონაწილეობას, როდესაც ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადდა კარანტინი და გარეთ გამოსვლა აეკრძალათ 70 წელს ზემოთ რისკ ჯგუფებში მყოფ მოხუცებულებს, მარტოხელა ან მრავალშვილიან დედებს, თვითმმართველობის გადაწყვეტილებით უშუალოდ ვეხმარებოდი მოსახლეობას, მიმქონდა მათთვის საკვები პროდუქტები, მედიკამენტები და საჭირო ნივთები. ასევე ხშირად მიწევს ქალაქის ადგილობრივ ტელეკომპანიების გადაცემებში მონაწილეობის მიღება და ინტერვიუები, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ვარ გენდერული საბჭოს წევრი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. ორივე კომისიის სხდომებს ვესწრები

სისტემატიურად და აქტიურ მონაწილეობას ვიღებ ქალაქის ეკონომიკისა და კეთილმოწყობის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში. აქტიურად ვესწრები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებს. ინტენსიურად ვარ ჩართული ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებასა და მისი შესრულების პროცესში. როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პარტია ,,ფრაქცია ქართული ოცნების" თავმჯდომარეს, საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მაქვს ფრაქცია „ქართული ოცნები"-ს რიგით 7 და 11 გაერთიანებული ფრაქციების სხდომა.

ხშირია ყოველდღიური შეხვედრები საკრებულოში, სადაც მოქალაქეები მოგვმართავენ სხვადასხვა სახის პრობლემების მოგვარების მიზნით, საკრებულოს საშვთა ბიუროს მონაცემებით, საკრებულოში მიღებული მოქალაქეების რაოდენობა 2020 წელს შეადგენს 100 ადამიანზე მეტს. მათი პრობლემების უმრავლესობა გადაწყვეტილია დადებითად, ნაწილი კი, მოგვარების პროცესშია. ყოველთვის ვცდილობ, რომ ჩვენამდე მოსულ ყველა ადამიანს გავუწიო მაქსიმალური დახმარება ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, ვეძიო გზები მისი მოგვარებისათვის.

2020 წელს დაიწყო 22-ე საჯარო სკოლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ,,მილენიუმის" პროგრამით.

რაც შეეხება სამომავლო პროექტებს, 2021 წლის ბიუჯეტის განხილვის პროცესში, მე, როგორც ქალაქ ქუთაისის საკრებულოს წევრი და საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი აქტიურად ვარ ჩართული მოსახლეობასთან ერთად. 2021 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა-ფორმირების დროს დაყენებული მაქვს ის პრიორიტეტული საკითხები, რომელიც უშუალოდ აწუხებს ჩემს სამაჟორიტაროში მცხოვრებ მოსახლეობას.

შეხვედრაზე აზრი გამოთქვეს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

მოქალაქეებმა ძირითადად შეკითხვები დასვეს ,,COVID-19-ის" პანდემიიდან გამომდინარე შეზღუდვების თაობაზე, აინტერესებდათ, თუ რა შეღავათები დაწესდება სახელმწიფოს მიერ მათ დასახმარებლად, რა სოციალური და მატერიალური დახმარებებს გამოიყენებს ხელისუფლება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძემ**: „მაქსიმალურად მიაწოდა ადგილზევე მოქალაქეებს ინფორმაცია, რასაც სახელმწიფო გააკეთებს ,,COVID-19-ის" მეორე ტალღის გადასალახად, ასევე გააცნო მოქალაქეებს მთავრობის მიერ შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმა."

მოქალაქე **გიორგი ჯანელიძე** ,,ქალბატონო მარეხი, სათბობი შეშით დახმარების თაობაზე დაწერილი მაქვს განცხადება, მაგრამ ჯერ რეაგირება არ მომხდარა შეგიძლიათ, რომ დამეხმაროთ?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე**: ,,მივმართავ შესაბამის სამსახურს, ჩავაყენებ საქმის კურსში, რომ დროულად მოგვარდეს თქვენი პრობლემა."

ასევე შეკითხვები დაისვა 2021 წლის ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით საფიჩხიის ადმინისტრაციულ ერთეულში, რაზეც გაეცათ ამომწურავი პასუხი.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი საკრებულოს წევრის, ქალბატონი მარეხ ნიჟარაძის 2020 წლის (იანვრის თვიდან ნოემბრის თვის ჩათვლით) თერთმეტ თვეში გაწეულ მუშაობის თაობაზე აღნიშნული საანგარიშო შეხვედრა დასრულდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი მარეხი ნიჟარაძე